№ 8 იანვარი 13, ოთხშაბათი

1888

იანვარი 13, ოთხშაბათი № 8

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 70 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ ბებუთოვის ქუჩ., სახლი № 9, ბ-ნ ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1888

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1888

## საყურადღებოდ

ხვალ არის დღესასწაული ქართველთა განმანათლებელისა, ღირსისა დედისა ჩვენისა ნინოსი. დღე ხვალინდელი არის ჩვენთვის წმინდა და წარჩინებული. ყოველ ქართველს კარგად ესმის ესეთი მნიშვნელობა ამ დღისა და ამისათვის ძალიან მრავალი ხალხია ხოლმე სიონის საკრებულო ეკკლესიაში, სადაც ასვენია წმინდა ნინოს ჯვარი. დღეს საღამო-ზედ სიონში მის მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი პალლადი ინებებს ლოცვას და მეორეს დღესაც იქმნება არქიელის წირვა სიონშივე. ორივეჯერ გამოსვენებული იქმნება საშუალ ეკკლესიისა წმინდა ნინოს ჯვარი თაყვანის-საცემლად და შემდგომ ღვთის მსახურებიისა მაღალ ყოვლად-უსამღვდელო პალლადი ხალხს დაურიგებს წმინდა ნინოს ცხოვრებას ქართულს ენაზედ.

—

ტფილისი, 12 იანვარი

წარსულს წერილში ვუჩვენეთ მკითხველს, თუ რამდენად გაზვიადებული აზრი შეუდგენიათ ზოგიერთებს კავკასიელთა უმეცრებასა და გონებრივს დავრდომილობაზე. იმედია, მკითხველი დარწმუნდა, რომ ბ-ნ მურიეს აზრი კავკასიელთა გონებრივს სიდატაკეზე გადაჭარბებულია და, მაშასადამე, არა სამართლიანი. ეხლა მოვიყვანოთ სხვა მაგალითი იმ გვარისავე გაზვიადებისა და გადაჭარბებისა.

საზოგადოდ მიღებულია და ბევრს უეჭველადაც მიაჩნია ის აზრი, ვითომ კავკასიის და კერძოდ ქართველთა წარსული დამყარებული იყო მხედრობასა და ბასრს ხმალზე. იმასა ჰფიქრობენ, ვითომ კავკასიელნი მხოლოდ მეომართა და ავაზაკთა გუნდს შეადგენდნენ, რომლებიც ან მტერს ებრძოდნენ, ან-და ერთმანერთის სისხლსა ღვრიდნენ და თავს ირჩენდნენ ან ავაზაკობითაა, ან-და ბუნების სიმდიდრისა და სიუხვის წყალობით სრულიად უშრომელად.

ესეთი აზრი იმაზედ არის დამყარებული, რომ კავკასიას მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მრავალი ძლიერი ომი გამოუვლია, მრავალი ძლევა-მოსილი მტერი უნახავს სამშობლო მიწაზე და საკუთარს და მტრის სისხლში შეღებილა. ამ გარემოებამ, რასაკვირველია, სრულიად დააუძლურა, დასცა მთელი ქვეყანა როგორც ნივთიერად, ისე გონებითად. აი, ამ მხარეს კავკასიელთა ცხოვრებისას ზოგიერთებმა მიაქციეს განსაკუთრებითი ყურადღება და დედა-ძარღვი საზოგადოდ კავკასიელთა და კერძოდ ქართველთა ცხოვრებისა სრულიად დაივიწყეს. ცხადია, რომ რაკი ერთხელვე ამ გვარი ცალ-მხრივი აზრი შეუდგენიათ ჩვენზე, ბევრს ნება და საბუთი მიეცა, მედიდურად და დიდგულად მოგვეპყრობოდნენ. მართლადაც, ზოგნი უცხო და შინაური მწერალნი, მოგზაურნი იმ აზრისა არიან, რომ კავკასია ბარბაროსთა ბუდეა, რომლებსაც ისტორიამ რაღაცა მანქანებით დაუმკვიდრა მდიდარი და უხვი ქვეყანა, ღირსი უკეთესის პატრონისა და მომვლელისაო.

აი, ზემოდ მოხსენებულის მაგალითად მოვიყვანოთ ზოგიერთი ადგილები იმავ მურიეს ჟურნალიდგან.

ერთს წერილში, რომელიც ეხება კავკასიის გზებსა, ნათქვამია, რომ «მიწის ნაყოფიერება აკმაყოფილებდა მკვიდრთა მცირე მოთხოვნილებას», „თვითოეული ცხოვრობდა სრულიად განცალკევებულად, საკუთარს ჭერს ქვეშ, ან-და საკუთარს სიმაგრეში"; «მხარზე თოფის ტარება, ყოველთვის მზად ყოფნა მოულოდნელის ომისათვის, მალულად ცხოვრება, ქრისტიანობის მტერთა და ტყვეობის თავიდგან ასაცილებლად, აი, რა შეადგენდა თითქო უპირველესს მოვალეობას თვითოეულისას და ანდერძს, რომელიც თავობიდგან თავობამდე გადადიოდა. რა საჭირო იყო გზები, ხიდები, რომელნიც სამსახურს გაუწევდნენ მხოლოდ მუსულმანთა ჯარებსა და მცარცველებსაო»...

ეს არის, ზოგიერთთა აზრით, ნამდვილი სურათი კავკასიელთა ცხოვრებისა. აი, ვითომ ის პირობანი, რომელთა წყალობით კავკასიელთა თავი შეინახეს და დედამიწის ზურგიდგან არ აღიხოცნენ.

თუმცა ძალიან გავრცელებულია აზრი, ვითომ კავკასიელთ თავი დაიცვეს და შეინახეს მხოლოდ იარაღისა და მთიანის ადგილის წყალობით, მაინც ნება გვაქვს, ვიკითხოთ, რამდენად მართალია ეს აზრი. ნუ თუ მართლა ხმალი და ქვეყნის ბუნება ისეთი რამ ერთად-ერთი ძლიერი საშუალებაა, რომელსაც შეუძლია ერს თავიდგან ააცილოს მწარე ხვედრი? ნუ თუ მართლა ისეთს ერს, რომელსაც მხოლოდ მკლავი და ხმალი შესწევს და არა-გონება არა-ეროვნული გრძნობა, შეუძლია გადარჩეს იმ მძლავრ ისტორიულ ტალღებსა, რომელთაც კავკასიელთ თავზედ გადაუვლია? არა, იქ სადაც ეროვნული გრძნობა, ურთიერთობრივი კავშირი არ არსებობს და არ მოქმედებს; იქ, სადაც გონება არა სჭრის, ბასრი ხმალიც ჩლუნგდება. ისტორია გვასწავლის, რომ მარტო ხმალთა ტრიალი და იარაღის ჩხარა-ჩხური ერს არ დაუმკვიდრებს ფართო სარბიელს და კეთილს მერმისსა. მართლადაც, ნუ თუ მონგოლთა, სპარს-ოსმალთა და სხვა ურდოთა, რომლებმაც კავკასია მრავალჯერ გადასთელეს, მრავალჯერ ქვეყანა პირ-ქვე დაამხეს, ხმალი ნაკლებად უჭრიდა, ვინემ კავკასიელებს და კერძოდ ქართველებსა? თუ მართლა ხმალი და ისარი ისეთი უებარი საშუალებაა, რატომ იმ ბარბაროსთა ურდოთა ვერ დაიმკვიდრეს კავკასია და ვერ აღხოცეს დედამიწის პირიდგან ერთი მუჭა ხალხი და ამ მუჭა ხალხს ხელიდგან ვერ გამოაცალეს ხელის გულის ოდენა მიწა? დიაღ, იმ ურდოებმა იმისთვის ვერ დაიმკვიდრეს კავკასია, რომ იმათი ძლიერება დამყარებული იყო ხმალსა და სისხლის ღვრაზე, იმისთვის, რომ იმათ ძალა არ შესწევდათ ბრძოლა გაეწიათ ადგილობრივს კულტურასთან და არც ღონისძიება ჰქონდათ, შეემუსრათ ეს უკანასკნელი. ისტორია იმას გვეუბნება, რომ ხმლისა და თოფ-იარაღის წყალობით გამარჯვებულთა შემდეგში ამარცხებდა კულტურა, ზნეობრივი, სულიერი ძლიერება იარაღით შემუსვრილის ერისა. დიაღ, იმ ურდოებს იმოდენად გონება და შორს-მხედველობა არ უჭრიდათ, რომ კავკასიელთა ეკონომიურს და ზნეობრივს ვითარებას შესჭიდებოდნენ, და თუ საზოგადოდ კავკასიელთა და კერძოდ ქართველთა თავი დააღწიეს ისტორიულს ტალღებსა და ძლიერ მტერთა მძვინვარებასა, ამის მიზეზი ის არის, რომ მკლავთან ერთად შესწევდათ სულიერი, ზნეობრივი სიმტკიცე და კულტურული ძალ-ღონეც. მართალია, საქართველოს მტერთა მუდმივმა შემოსევამ, დავ-დასხმამ დასცა და დააუძლურა, მაგრამ ეს მაშინ მოხდა, როდესაც განუწყვეტელმა სისხლის ღვრამ დასცა კულტურული ძალ-ღონე ქართველთა, შემუსრა იმათის გონებისა და ხელობის ნამოქმედარი, შეასუსტა კავშირი თვით ქართველთა შორის.

---

# ფელეტონი

## ოთარაანთ ქვრივი

### XI*)

ორი თვალი

იმ დღეს, როცა გიორგიმ დააპირა არჩილიანთას წასვლა მოჯამაგირედ დასადგომად, ისეთი მხიარული სახე ჰქონდა, რომ ოთარაანთ ქვრივმა სიამოვნებითა სთქვა:

— ძლივს შუბლ-გახსნილი არა გნახე!

სიამოვნებით-კი სთქვა?..

ამაზედ ჰოც ითქმის და არაცა. ეს რაღაც «მზიან-ჩრდილიანი» სიამოვნება იყო. მზიანი იმიტომ-რომ უხაროდა შვილის სიხარული, ჩრდილიანი იმიტომ-რომ ეწუხებოდა დედის გული წუხილი, სტკიოდა დედური გული, — რად უხარიან ჩემგან წასვლა და სხვასთან ყოფნაო!... მზე და ჩრდილი, ნათელი და ბნელი, ტკბილი და ამება ერთმანერთში გაება და ჩაეწნა.

დედამ შვილს ჩაულაგა ერთი ხელი უკეთესი ქვეშაგები, საცვალი ტანისამოსი, კაი ლეკურის შალის ჩოხა-შალვარი, ყანაოზის ახალუხი, ორი წყვილი თავისის ხელით მოქსოვილი ჭრელი წინდა, ახლად ნასყიდი მორთული საცვეთები, ბაზარში განგებ შეკერილი და ყაითნებით დახლართული ქვემოური ქალამნები. ყველაფერი ეს გამოუკრა ჯერ სუზანში, მერე ფარდაგში და შეჰკრა მაფრაშასავით თოკებით.

— დედი, დედი! ეს რა ამბავია?.. ჰკითხა გაცინებით შვილმა, როცა ეს სამზადისი დაინახა: ცხრა მთას იქით ხომ არ მისტუმრებ, რომ მაგოდენა ბარგ-ბარხანას თან მატან.

— არა, შვილო!.. უამისობა არ იქნება. დეე იცოდნენ, რომ ოჯახის შვილი ხარ და არა ეული ვინმე, ბოგანა. დეე იცოდნენ, რომ ოჯახიდამ გასდიხარ და არა უოჯახობიდამ.

— განა არ იციან?

— გაგონილს თვალით ნახული სჯობია. დეე რაც ყურით გაუგონიათ, თვალითაც ჰნახონ.

— სასაცილოდ ამიგდებს მთელი სოფელი, ეგრე ბარგ-აკიდებული რომ მნახონ.

— თავ-საცილს კაცი არ მოუკლავს. კაცი რომ სულელების კბილთა ღრჭქას აჰყვეს, სად წავა?

— მეტის-მეტია, დედი, ამოდენა ბარგი!.. თითქო ქალი ვიყო და მათხოვებდე.

— ქალი რომ იყო, ეგრე ადვილად ვერ გამიფრინდებოდი ხელიდამ.

— ქალი ხომ უფრო საბოლოვო არ არის დედ-მამისათვის. ქალი მოდის, იმისათვის რომ წავიდეს და სხვაგან გაიკეთოს ბუდე.

— მართალია, მაგრამ ქალი, — მინამ გათხოვდება, — დასაფრენი ბღარტია და ფრთას ქვეშ უზის დედასა.

— როგორ? წნილად შემინახავდი თუ?

— მაგას არ გეუბნები. ქალი ბედს შინ მოელოდინება, კაცი-კი გარედ ეძებს...

გიორგი აიმრიზა, ხმა აღარ გასცა. მიჰტრიალდა და კუთხეში რაღაც ფაცური დაიწყო, ვითომ-და ეძებს რასმე.

ოთარაანთ ქვრივმა ეს უცებ გაწყვეტა ლაპარაკისა შეჰნიშნა და არ შეიმცნია-კი.

— უფროხის ახლოს მისვლასაო, იფიქრა დედამ.

გიორგი პატარა ხანს შემდეგ ხელახლად მოუტრიალდა დედას. ხელი ჩაჰკიდა შეკრულს ბარგსა და ეგრე, ხელ-ჩაკიდებისაგან ერთ მხრივ გადახრილმა, უთხრა:

— ნება შენი იყოს, დედი!.. ამ ბარგი-ბარხანით მიუვალ...

სთქვა ესა, მხიარულად შეიგდო მხარზედ ბარგი და გასწია.

ოთარაანთ ქვრივმა დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდამ... დიდხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი, თითქო ხმაამოუღებლად იხვეწ-იმუდარებოდა, — ერთი მაინც შემომხედოსო. მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა...

დედას გულმა ტეხა დაუწყო.

— უკან აღარ მოიხედა!.. დაიკვნესა დედამ: ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს; სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწევიანო.

ფეხთ-მდგომელას ოთარაანთ ქვრივს თავი ძირს ჩამოუვარდა დამბლასავით, თითქო კისრის ძარღვი გაუწყდა, ვეღარ შეიმაგრა და ნიკაპით გულზედ დასაბჯენად-ღა დაეკიდაო.

— ჩემგან მიდის და პატარა ნალველიც უკან არ ახედებს... განა აქ არა დაჰრჩა-რა!.. სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს... განა ყველაფერი იქ არის, სულ ყველაფერი!.. დაიკვნესა ხელ-ახლად დედის გულმა.

ამის თქმაზედ ოთარაანთ ქვრივმა კაბის სახელო წამოიწია და მთელი მკლავი დაჭიმულ სახელოთი მოისო თვალებზედ.

თვითონაც არ იცოდა, — რადა ჰქმნა ესა. ეს უნებურად, უცოდნელად მოუვიდა. ხელმა თავის თავად დაასწრო, მინამ გული ცრემლს წამოჰღვრიდა. თითქო ხელი არ დაეკითხა გულს, — არ დამაგვიანოს, არ დამიშალოსო.

ოთარაანთ ქვრივს თვალში ცრემლი არ უჩანდა!.. განა აქვს-კი ცრემლი ცეცხლ-მოკიდებულ გულსა?!.

ჩამოჯდა ოთარაანთ ქვრივი დერეფნის დირეზედ. ჩაჰკიდა კვლავაც თავი და ორისავე იდაყვით მუხლების თავზედ დაებჯინა.

ოთარაანთ ქვრივი ფიქრმა წაიღო...

— დედა-შვილობაში შენ-ჩემობა რად არის? ჰკითხა ოთარაანთ ქვრივმა თავის თავსა: დედა-შვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს? ნეტა დედას სხვასავით მაინც ორი თვალი არა ჰქონოდა!.. თუ აქვს, რად უჭ-

*) იხ. „ივერია" №№ 2, 3, 4 და 7.

ზემოდ მოხსენებულიდგან ცხადია, რომ დედა-ძარღვი ჩვენის ცხოვრების ისტორიისა, საფუძველი ჩვენის წარსულის მხნეობისა და გმირობისა იარაღის ყოჩაღად ხმარება-კი არ იყო, არამედ ერის კულტურა, ზნეობრივი და სულიერი სიმტკიცე. საფუძველი ეს იყო და ამ საფუძვლის სიმტკიცისა და სიმაგრისაგან წარმოსდგა ჩვენი მხნეობა, ვაჟკაცობა და მამულის სიყვარული.

მართლადაც, მხნეობა და მამულის სიყვარული ზეგარდმო მთაბერილი ნიჭი-კი არ არის, არამედ ნაყოფია ცხოვრებისა, შრომისა და გრძნობა-გონების მუშაობისა. რისთვის ვიდექით ისე მკვიდრად საკუთარს მიწაზე, რისთვის არ ვემორჩილებოდით ჩვენზე უფრო ბევრად ძლიერს მუსულმანთა, რისთვის იყო ჩვენთვის ძვირფასი სამშობლო მიწა, წინაპართა ოხვრა და კვნესა, თუ არ იმისთვის, რომ მიწა ჩვენივე ნაამაგარი და ნაჭირნახულევი იყო? როგორ გამოვიტანდით თავსა მარტო მტერთა და მოძმეთა ცარცვა-გლეჯითა, თუ მიწას, ბუნებას არ ვაწარმოებდით, არ ვამუშავებდით? რა არჩენდა ერს ჟამსა გაჭირვებისასა, თუ არა შრომა და გარჯა? გადაიკითხეთ ჩვენი მატიანეები და მაშინ იტყვით, რომ ჩვენი აზრი სამართლიანია და იმათი-კი, ვინც ცალ-მხრივად სჯის და ცალის თვალით დაჰყურებს ჩვენს ცხოვრებას, შემცდარი და გადაჭარბებულია. ტყუილია ის აზრიც, ვითომ ჩვენის ქვეყნის ბუნება იმოდენად მდიდარი და უხვი იყოს, რომ უშრომელად იძლეოდეს ნაყოფსა. ერის წარსულსა და აწმყო ცხოვრებას დააკვირდით და თქვენ დარწმუნდებით, რომ არც ქვეყნის უეჭველი სიმდიდრე და სიუხვე ასაზრდოებდა მცხოვრებლებს მათდა უშრომელად და უზრუნველად.

ამ წერილში ზოგიერთ აღძრულს საკითხავებზე მკითხველებს შემდეგში მოველაპარაკებით.

ა. ნა—ლი

# ახალი ამბავი

*** ხუთშაბათს დღეობაა ტფილისში საქართველოს განმანათლებელის მოციქულთა-სწორის წმ. ნინოსი. მრავალი ხალხი ჩამოვიდა სოფლებიდამ ამ დღეობაზე დასასწრებლად.

*** ჩვენა ვნახეთ პარიჟში დაბეჭდილი წიგნაკი, ფრანგულ ენაზედ დაწერილი ბ-ნ მურიეს მიერ. წიგნსა ჰქვიან: «Contes et Lègendes du Caucase» — «ზღაპრები და ლეგენდები კავკასიელთა». წიგნი ჩინებულად არის დაბეჭდილი და იეფადაცა ღირს. ქართული ზღაპრები ამოღებულია საბა-სულხან ორბელიანისაგან, ხოლო მეგრულები — ბ-ნ ცაგარლის თხზულებიდგან. აგრეთვე მოყვანილია რამდენიმე სომხური ზღაპარიცა.

*** 11 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოში ორი საქმე გაირჩა. სასამართლოში იყო მიცემული ტფილისის მცხოვრებელი, მიხეილ თეთრაძე. ჰბრალდებოდა, რომ 23 აგვისტოს 1880 წ. ბიბილურის ტრაქტირში, სადაც ეძინა იაგორ კარაპეტოვს, ჩუმად მოეპარა სამასის თუმნის ვექსილები, ოთხი თუმანი ფულად და ერთი ვერცხლის საათი. ასე ამბობდა ოქმი გამოძიებისა. სასამართლომ გაარჩია საქმე და დაადგინა: აეყაროს ზოგიერთი ღირსება მიხეილ თეთრაძეს და რვა თვეით ციხეში დაპატიმრებულ იქმნასო. მეორე საქმე მდგომარეობდა შემდეგში: ალიყული-აბულლა-ოღლიმ 7 ოქტომბერს 1884 წ., რაღაცა შურის-ძიების გამო, გაიტყუა ცალკე პოლიციის მოხელე სიროტენკო და გაიძრო ხმალი მოსაკლავად, მაგრამ ვერ შეასრულა თავისი ბოროტი განზრახვა, რადგანაც პოლიციელმა ყვირილი დაიწყო და ხალხი მიეშველა. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნა ბრალდებული და დაადგინა: ღირსების აყრილად დამნაშავე წლითა და ოთხის თვეით იქმნას დაპატიმრებულიო.

*** რაც ვარანცოვის გზა-ტკეცილზე და ძველ დამოჟნის ქუჩებზე შეშის ურმები მოდის, ქალაქში არ უშვებენ, საზამთროს მეიდანზე აყენებენ. ამ მხარეს ღარიბი ხალხი ცხოვრობს და შეშას ვირის საპალნეობით უფრო ყიდულობენ, ვიდრე ურმით, რის გამოც შეშის მომტანნი დიდს გაჭირვებაში არიან. ამით ჩარჩები სარგებლობენ; ხან-და-ხან ხუთ მანითიან ურემს ორ მანათად ყიდულობენ. მომტანი ამ ფულით გზის ბაჟსაც ვერ ისტუმრებს, არამც თუ ტყის შალბაშსა და თავის მოცდენას გამოიღებს. ჩქარა ისე გახდება, რომ ამ გზებით შეშები სულაც აღარ შემოვა, რაც ძალიან დააძვირებს ქალაქში შეშას. საჭიროა, რომ ამ გარემოებას ქალაქის მმართველობამ ეხლავე მიაქციოს ყურადღება.

*** თათრები ტკბილეულობას აკეთებენ და ხონჩებით ქუჩა-ქუჩა დააქვთ გასასყიდად. ზოგი რაღაც წითელ წამალს ურევს; სველი ხელი რომ მოუსვიდოთ, ხელი შეგეღებებათ. არ იქნებოდა ურიგო, რომ ბ-ნმა ქალაქის ექიმმა გასინჯოს ეს ტკბილეულობა, რადგან შეიძლება წითელი წამალი მავნებელი რამ იყოს.

*** დახურულ-ბაზარში ბაზაზის დუქნები კვირაობით იკეტება. ამ დაკეტილ დუქნების წინ მეწვრილმანეებს და იმათ ნოქრებს გამოაქვთ საწვრილმანო გასასყიდად და «მუსიკის» დაკვრას, თამაშობას, ლანძღვა-გინებას, მიმომსვლელთა შეურაცხყოფას საზღვარი არა აქვს.

*** თათრის მეიდნის ახლო-მახლო ქუჩებზე ტრაქტირები ბლომად არის. აქ წვრილ-ფეხობა და კინტოები ბლომად იყრიან თავსა. ამ ადგილებს ძალიან ცუდი გავლენა აქვს ტფილისის მოზარდ თაობის ზნეობაზე. იქა სალახანავდებიან პატარა ბიჭები და სწავლობენ ქურდობასა და ავაზაკობასა.

*** ქობულეთი: ზღვა საშინლად ღელავს. ნაპირების სიახლოვეს ზღვას დააქვს ერთი დიდი პასაჟირის გემი, რომელიც 7 იანვარს უნდა მისულიყო ბათუმში და ღელვისა გამო რვა იანვრის შუადღემდის ვერ მოახერხა დაეძლია ზვირთები და შესულიყო ნავთ-სადგურში.

ზღვამ გამოჰყარა მრავალი ნავთით სავსე ფუთიანი თუნუქის ჰურჰელი, რომელსაც საზღვრის დარაჯები აგროვებენ და ეზიდებიან შესანახად ადგილობრივს დამოჟნაში. ალბად სადმე დატვირთული გემი დაიღუპა.

თამარის კოშკთან, ბათუმის ახლო, სადაც ბატარეებია გამართული, ზღვამ გამოისროლა ნაპირზედ უვნებლად ერთი ახალთ-ახალი იალქნებიანი გემი.

*** ბათუმი: 8 იანვარს ღამით ბათუმის ნავთ-სადგურში ცეცხლი გაუჩნდა ერთ ფრანგულ გემს, რომელშიაც იყო დატვირთული 36 ათასი ფუთი ნავთი. გემი და საქონელი სრულიად დაიწვა. როგორც ამბობენ, საქონელი და გემი დაზღვეული ყოფილა.

მუდმივ დარების შემდეგ აქეთ საშინელი ამინდები დაიჭირა: ქარი, თოვლი, წვიმა, სეტყვა ერთმანერთში არეული უხვად. მოდის

*** გორი: კვირას, ამ თვის 10, გორის პოლიციაში ჩამოიყვანეს დიდ ლიახვის ხეობაზედ მცხოვრებელი გლეხი, პეტრე გაბრაშვილი. ეს კაცი თურმე მივიდა განსვენებულ მღვდლის ლევან ფილიშვილის მამასთან სოფ. ზახორში და უთხრა: შენთან წერილი მაქვს გუბერნატორისაგანაო.

ჩაიყო ჯიბეში ხელი, შემდეგ შემოიკრა თავში და დაიწყო ტირილი: ვაიმე, ჯიბე დამხევია და წერილი დამკარგვიაო.

ფილიშვილმა ჰკითხა, რა შესახებ იყო ის წერილიო; გლეხმა უპასუხა: ზევიდგან ქართულად ეწერა — შემატყობინე, შენის შვილის მკვლელობაში ვისზედა გაქვს ეჭვიო. ეხლა შენ უნდა დაიწერო ყველა ის, ვისზედაც გაქვს ეჭვი, რომ წარვუდგინო გუბერნატორსაო.

ფილიშვილი შევიდა ეჭვში, რომ აქ რაღაც ამბავი იმალებაო, დაუძახა რამდენსამე პატიოსანს კაცს და ზახორის და წირის მამასახლისებს. ამათთანაც გაბრაშვილმა გაიმეორა, რაც წინად ფილიშვილს უთხრა. მამასახლისებმაც ეჭვი აიღეს, დაიჭირეს და წარმოადგინეს მაზრის უფროსთან, რომელმაც, თავის მხრივ, იცნო საეჭვო კაცად და წარადგინა ციხეშიალის გამომძიებელთან. არ ვიცით, რითი გათავდება ეს ამბავი, მაგრამ სასურველია, რომ ბ-ნი გამომძიებელი ყურადღებით მოეპყროს ამ კაცსა და იქნება ცოტაოდნად მაინც მიაგნოს მამა ლევან ფილიშვილის მკვლელობის კვალსა, რადგანაც გაბრაშვილის ლაპარაკიდამ და მოქმედებიდამ საფიქრებელია, რომ ის ან სხვისაგან იყო დავალებული, გაეგო, თუ განსვენებულის მამას ვისზედა აქვს ეჭვი თავის შვილის მოკვლისა, ან არა-და მთხრობლად უნდოდა გამოსვლა.

*** სიღნაღიდამ გაზ. «Кавказъ»-სა სწერენ, რომ აქ გახშირდა ცარცვა-გლეჯა, ქურდობა და თავ-დასხმა ავაზაკთაგან. ამას წინად იორთან ბურდ მთაზედ თიანელებს დასცემია ცხრა თათარი და წაუსხავთ 140 სული ცხვარი. ოთხი თათარი იპოვნა პოლიციამ და სხვები-კი ვერ მონახა ჯერა. ცოტა ხნის შემდეგ ერწოელ მეცხვარეს წაართვეს თათრებმავე 50 სული ცხვარი. მერე ერთს მეძროხეს მოსტაცეს რვა ფური და ერთი ხარი. როგორც ამბობენ, ძროხები გარეკეს ყაზახისაკენაო. უკანასკნელ დღეებშიაც ერთს საქობოელ გლეხს ლეკებმა მოსტაცეს ექვს თუმნიანი ცხენი და წაიყვანეს ზაქათალისაკენაო.

<>

## ტფილისის საბჭო

(11 იანვრის კრება)

წაკითხულ იქმნა წინანდელ კრების სხდომის განაჩენები. ამის შემდეგ საბჭომ მოისმინა მოხსენება საქალაქო გამგეობისა საყასბოს შესახებ:

15 ივნისის 1887 წლის საბჭოს გარდაწყვეტილებით დადგენილი იყო, რომ ოთხ-ფეხ საქონლის საკლავად ადგილი ამორჩეულიყო ნავთლუღში, სადაც დღეს დროებით საკლავი სახლია, და სამუდამო საყასბო აშენებულიყო. ამასთანავე ისიც დაავალა

<>

რის ერთი თავისად, მეორე შვილისად? გული რად იხედება გარედ ორის თვალითა, რად? რატომ ერთი თვალი არ ებრმავის, როცა მეორე იყურება?.. ვინ ვისთვისაო, — რა საკითხავია დედა-შვილობაში?.. ვაი რომ საკითხავი ყოფილა! ამისი ჭირიმე თურმე დედა-შვილობაცა!..

დიდხანს იტრიალა ამ ფიქრების მორევში გულმა და გონებამ ოთარაანთ ქვრივისამ. მერე თითქო რაღაც ხიდი გაიდოვო მორევიდამ გამოსასვლელად, წამოდგა ფეხზედ და ხმა-მაღლა სთქვა:

— არა, შვილო!.. შენ გაიხარე, შენ!.. მე-კი... მე-კი... მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებელით-ღა ვივლი და ვიცოცხლებ...

### XII

უეცარი წკიპურტი

გიორგი მოჯამაგირედ დადგა. პირველს დღესვე არჩილმა ვენახში წაიყვანა გიორგი. არჩილი ახალს ვენახს აშენებდა და უნდოდა მიწა ჭანდრაკის ფიცარსავით უჯრა-უჯრად დაეყო და ისე მოერიგებინა ვაზი მწკრივად და ლარზედ. ორი ჭრა კიდეც გაეკეთებინა ესე და ვაზის რქა ჩაეყარა. ძალიან მოსწონდა არჩილს ესე უჯრა-უჯრად ჩარიგებული ვაზი. გიორგის რომ დაანახვა ეს თავისი ახალ-შენი, თავ-მოწონებით უთხრა:

— როგორ მოგწონს? ერთი შეჰხედე გინდა აქედამ, გინდა იქიდამ, სულ ლარსა და მწკრივზეა ჩარიგებული.

— ეგრე ჩარიგება ვაზისა კარგია: მზე და ნიავი თანაბარად დაუვლის ყველგან. ამას წინად, — სამი-ოთხი წელიწადი იქნება, — გავიგე, რომ კახეთში ეგრე უკეთებია ვენახი ერთს თავადიშვილს. გული არ დამიდგა, მინამ არ წაველი და არა ვნახე. ვნახე და მომეწონა. საკეთებლადაც უფრო სამხროა. კარგია ეგრე.

— ძლივს ერთი კაცი არა ვნახე ამ სოფელში, რომ მომიწონა ნაკეთები.

— ნაკეთებს-კი ვერც მე მოგიწონებ.

არჩილი შეჰფიცხდა და აიტკიცა.

— რატომ, ბიჭო!

— იმიტომ-რომ აქ ფერდობია...

— ვაი შენ, ჩემო თავო! გააწყვეტინა სიტყვა არჩილმა: შენც ბევრი არა გცოდნია-რა, ჩემო გიორგი. ბიჭო-და საქმე ის არის, რომ ფერდობია და მზის გული ფერდობიცა.

— განა მაგას ვიწუნებ? მზის გულ ფერდობს რა სჯობია ვენახისათვის...

— მაშ რას ამბობ?

— აქ ჩვენში ხომ ნამი არ იცის, როგორც კახეთში, და მშრალი მიწაც არის. ჩვენში ვაზს რწყვა უნდა. რაც გინდ მაგრად იდგეს კაცი, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოახვედროს ვენახს წყალი, თორემ ვაზი ვერ მოიხდენს. პირველში ხომ კარგა წყალს მოინდომებს-და-მოინდომებს, მინამ რქა იხეირებს.

— მერე რა გინდა სთქვა?

— მერე ისა, რომ ეგრე სისწორივ ვაზი რომ ჩაგიყრია ამ ფერდობის გარდი-გარდმოდ, როგორ-ღა მოატარებ ვაზებში წყალსა. წყალი აღმა ხომ ვერ ივლის?

— მაშ, შენის ფიქრით, ლარი აღმა-დაღმით უნდა დამეჭირა თავ-თავქვისაკენ, რომ ზემოდამ ქვევით ედინა წყალს!

— წყალი მაშინ, რა თქმა უნდა, კარგად ივლიდა, მაგრამ არც ეგ ივარგებდა. წყალი რუისა, თუ ნიაღვრისა, მაღლიდამ დაქანებული, მიწას ზემოდამ სულ ქვევით ჩაიტანდა, ჩაჰრეცხდა, ზემო პირის ვაზს სულ ძირს გამოუხრამავედა.

— მაშ როგორ უნდა ყოფილიყო?

— ეგრევ, მაგრამ ლარი სწორეზე-კი არ უნდა წაგეღო, ცოტა გეზად უნდა დაგეჭირა, რომ წყალს საკმარისი თავ-თავქვე ჰქონოდა და მიწაც ზევიდამ ქვევით არ ეზიდნა. აგერ რუიც ხომ მარტო გარდი-გარდმოდ ემხრობა ამ ახალ-შენსა! აქედამ ცოტა გეზ-გეზად თუ არ წავიდა თავ-თავქვისაკენ, სხვა გზით წყალს ვენახი არ მოიხდენს. ეხლა-კი წყალს ავალა პირ-აღმა აქვს. როგორ უნდა იდინოს? აბა გაიხედე!..

არჩილმა გაჰხედ-გამოჰხედა, ხან აქედამ გაუსისწორივა თვალი, ხან იქიდამ, ხან აქედამ მოუდგა, ხან იქიდამ და იმისთანა ვერა იპოვნა-რა, რომ ხელი ჩაეკიდნა და გიორგი გაემტყუნებინა.

— ბატონო-და, მაგას რა დიდი ამბავი უნდა, უთხრა გიორგიმ, რაკი შეამცნია, რომ არჩილი ჰო-არაობაშია: აი თუნდა ეხლავ მოვუკლდებ წყალს და მაშინაც არ გამოჩნდება!

— საჭირო არ არის. შენ მართალი ხარ, ჩემო გიორგი! კიდევ კარგია, — ეხლა დროზედ შემომესწარ, ჯერ მინამ მარტო ორი ჭრა ჩამიყრია და გასწორება ადვილია, თორემ, შენი მტერი!.. აქაურს გლეხკაცობას სიცილად არ ვეყოფოდი, თუნდ ხარჯსაც აღარ შევშინდებოდი.

არჩილი შინ ამოვიდა და ყველაფერი თავის დას უამბო. ბევრი იცინა დამ, რომ არჩილს ესეთი უეცარი წკიპურტი მოჰხვედრია.

— ეგ რა მოგსვლია?! ჰკითხა კესომ და გულიანად ჩაიხარხარა. ჩაიხარხარა, მაგრამ წყენა დაცინებისა მოატკბო და-ძმურის სიყვარულის კილომა: ეგ რა მოგსვლია?

— ის, ჩემო კარგო, რაც თავ-მოწონებულს არ-ცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვის. ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, — ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩვენ ჩავკიდეთო. ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ-კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქედ. რა-კი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს.

— შენა-და წიგნების ეგრე აბუჩად აგდება?

— მე აბუჩად წიგნებს-კი არა, ჩემს თავს ვიგდებ: არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთა-ხედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკ-

საბჭომ გამგეობას, რომ ამ სახლის პროექტიც წარმოედგინა იმისთვის დასამტკიცებლად და ამისათვის საჭირო ფულებიც გამოეძებნა.

თანახმად ამისა გამგეობამ გუშინდელს კრებაზედ მოახსენა საბჭოს დაწვრილებით ყველაფერი ამ საგნის შესახებ: ადგილიც არჩეული არის და პროექტიც შედგენილია. გამგეობის გამოანგარიშებით საყასბოს რიგიანი გამართვა დაჯდება არა ნაკლებ 120,000 მანეთისა. თავისუფალი ფული ამ ჟამად ქალაქს სრულებით არა აქვს, შოვნა ამ ფულისა შეიძლება მხოლოდ სესხითაო, და ეს სესხი რომელსამე გრძელ-ვადიან სესხის გამცემ საკრედიტო დაწესებულებაში ვისესხოთო ქალაქის სახლის ან მიწების დაგირავებითაო. რომ სესხის გადახდა არ გაუძნელდეს ქალაქს და საკლავის სახლის გამართვისათვის ფული იშოვოს, საქალაქო გამგეობის აზრით საჭიროა დღევანდელი გარდასახადი საქონლის დაკვლაზე 50%-ზედ ავსწიოთო.

ბ-ნი ნიკოლაძე წინააღმდეგი იყო, ამ საგანზედ რაიმე გარდაწყვეტილება დადგენილიყო ჯერ-ჯერობით, რადგან მეტის-მეტი დიდი საქმეა ეს საქმეო და ამიტომაც დიდი მოფიქრება და სიფრთხილე გვმართებსო; ამის გამოვე თხოულობდა: ეს მოხსენება გამგეობისა დაიბეჭდოს, დაურიგდეს ხმოსნებს, რომ კარგად მოიფიქროს ყველამ ამაზედ და სინიდისის ქვეშ წარმოსთქვას თავისი აზრიო.

დიდი ლაპარაკი ჩამოვარდა ამ საგანზედ, მაგრამ ბოლოს საბჭომ მაინც მიიღო ბ-ნ ნიკოლაძის წინადადება: დაიბეჭდოს ეს მოხსენება, დაურიგდეს და მერე იქმნას გარჩეული საბჭოშიო. სხვა საგნებში, რომელიც-კი გარჩეულ იყო გუშინდელს კრებაზედ, უფრო საყურადღებოა ბ-ნ ივანენკოს საკითხავზედ გამგეობის მიერ მოხსენებული პასუხი. საბჭოს უკანასკნელს სხდომაზედ ბ-ნმა ივანენკომ მოახსენა კრებას, რომ ბელგიის ამხანაგობა, რომელმაც ხელ-შეკრულობით იკისრა ორის წლის ვადით მილის წყლის გაფუჭებულ მილების გამოცვლა თავის ხარჯით, მხოლოდ გაფუჭებულ ბოლოებსა სჭრის მილებს და მთლიანად-კი არა სცვლისო. ბ-ნმა ივანენკომ ჰკითხა გამგეობას, რად აძლევთ ამის ნებასაო.

ბ-ნმა ქალაქის თავმა ამაზედ უპასუხა, რომ ხელ-შეკრულობით ისეთი ბოლოები მილებისა, რომელნიც ვარგანან, მხოლოდ იმ შემთხვევაში რჩება ისევ გამოუცვლელი, თუ რომ ისინი შეკრულია ორის მუფთითაო.

ამ საგნის გამო ჩამოვარდა ლაპარაკი იმაზედ, თუ როგორ უნდა მოხდეს შეკეთება გაფუჭებულის მილებისა. ბოლოს საბჭომ დაადგინა მიენდოს შენობათა კომისიას წყლის მილების შეკეთების წესების შედგენა და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად.

კრებაზედ დაესწრო 37 ხმოსანი.

ა. ლ—ძე

## უცხოეთი

**ბოლგარია.** სტოილოვი სტამბოლში აპირობს წასვლას. პრინც ფერდინანდ კობურგისას განსაკუთრებული საქმეები მიუნდვია იმისთვის.

— გაზეთი «Figaro» ამბობს, რომ პრინც ფერდინანდს კობურგისას ფიქრადაც არ მოსდის უარ-ჰყოს ტახტი და თავი დაანებოს ბოლგარიასაო.

— აი რასა სწერენ ჰავასის სააგენტოს სოფიიდამ: როცა ახალ წელიწადი მიულოცეს პრინცს ფერდინანდს, პრინცმა სთქვა, რომ ჩვენს მთავრობას ნება აქვს კმაყოფილი იყოს იმისი, რაც აქამდე გააკეთა. ბოლგარიის საერო არსებობა კვლავ ჩასდგა თავის კვალში. ბოლგარიის ერი ცნობს სამინისტროს, სწამს იმისი მამულის-მოყვარეობა და დამშვიდებული მუშაობს და იღწვის მჭლებურად. მხედრობამ მაღლი მოიცა და ჰგრძნობს, რომ შეუძლიან გულ-და-გულ დაუხვდეს ყოველ გარეს ფათერაკს. თვით მე გულითა და სულით ბოლგარელი გავხდი. რაკი ერთხელვე ფიცი და აღთქმა დავსდე, ბოლგარიას არას დროს აღარ ვუღალატებ. ამისთანა ჯარით, როგორიც ჩვენა გვყავს, ღვთით, ყველაფერს შევებრძოლებით. ქვეყანაში სავსე მისი წარსული საუკეთესო თავმდებია, რომ შემდეგაც გამარჯვება მოგველის. წრეულადაც რომ შეგვემთხვას თოფ-იარაღის ასხმა, იმედია, ბოლგარიის ლაშქარი დაუმტკიცებს მთელს ქვეყანას, რომ ბოლგარელთ შეუძლიანთ თავი დასდონ თავიანთ მამულისათვის.

**ავსტრია.** გრუიჩმა კარგად შეასრულა ვენაში თავის მთავრობის მინდობილობა. ისესხა ვენის მთავრობისაგან სერბიისათვის 21 მილიონი ფრანკი და დაბრუნდა თავის სამშობლოში. ავსტრია, რაც შეუძლიან, ხელს უმართავს ამ პატარა სახელმწიფოს: ფული დასჭირდება, თუ იარაღი, ან სხვა რამ საჭიროება მიადგება ჯარსა, ავსტრია მზად არის მუდამ ხელი მოუმართოს. ავსტრია ასე იმიტომ იქცევა, რომ იმედი აქვს, სერბიაც სამაგიეროს გადუხდის და გაჭირების დროს, არა თუ ნეიტრალიტეტს დაადგება, არამედ თავის ჯარსაც მიაშველებს.

— გრაფ ანდრაშისას, რომელიც დიდი მომხრეა ომისა, ჰქონდა მოლაპარაკება იმპერატორ ფრანც-იოსებთანაო, ამბობს გაზ. «Новости».

— გრაფ ტისსას, ვენის მთავარ-მინისტრს, ჰკითხეს ამას წინად გელფიმ და პერჩელიმ, რა ყოფაშია დღეს პოლიტიკაო. ეხლა ამბობენ, რომ ტისსას განზრახვა აქვს ასე უპასუხოს გელფისა და პერჩელისაო: ავსტრია არავითარს ომს არ აპირობს არავისთანაო, ყველასთან მეგობრად არისო. ბოლგარიის საქმეზედაც იმას იტყვის, რომ ამ საქმის გამო არავითარი მოლაპარაკება არა გვაქვს არავისთანაო.

— პრაგაში სეიმის კრებაზე 2 იანვარს შემდეგი ამბავი მომხდარა: მლადო-ჩეხებს და სტარო-ჩეხებს გადაუწყვეტიათ, რომ მოვსთხოვოთ მთავრობას, ისეთივე უფლება მიანიჭონ ბოჰემიაში ჩეხურს ენას, როგორც გერმანულს ენასა აქვსო. ამაზე ჩეხელ დიდ მემამულეებს წინააღმდეგობა დაუწყიათ და დიდი ალიაქოთი და დავიდარაბა აუტეხიათ. მაშინ წამომდგარან მლადო-ჩეხები და დაუწყიათ ყვირილი: აი რა მამულიშვილები ბრძანდებიან ჩვენი თავად-აზნაურნი, სირცხვილი ჩვენის თავად-აზნაურობისათვისაო!

**ინგლისი.** ლივერპულში სალისბერის რამდენიმე სიტყვა წარმოუთქვამს. მოგვყავს ამ სიტყვებიდამ მხოლოდ თითო-ოროლა ადგილი: «ომიანობის შესახებაო, უთქვამს მთავარ-მინისტრს, იმასვე ვიტყვი, რაც ამას წინად გსთქვი. ეხლა უფრო უკეთესად მიდის საქმე მშვიდობიანობისა, ვიდრე მაშინ, მაგრამ ამასაც არ დავმალავ, რომ ეხლანდელი დრო მისანდობელი დრო არ არის. ყველა ეჭვშია, ყველას ეძნელება დაიჯეროს რამე, ყველას ფიქრი იმაზეა მიქცეული, რომ დღევანდელი დღე შემძლებელია დიდი საქმენი დაბადოს და წარმოშობოს თითოეულთა ძლიერთა სურვილითა. ეს დიდნი საქმენი და მათი დაბადება იმაზედაც არის დამოკიდებული, რომ ქვეყანას რადაც სწადიან, რადაც უნდა. ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს არც იმ გარემოებას, რომ შეიძლება უცბად იფეთქოს ეროვნულმა გრძნობამ რომელისამე ქვეყნისამ და ეს უეცარი აფეთქება ეროვნულის გრძნობისა შეიქმნას დიდ საქმეთა მიზეზად. ამისთანა დროა ჩვენი დრო და აბა ამისთანა დროში როგორ გავბედო და გსთქვა, რომ მშვიდობიანობა მეტად მკვიდრად არის დაცული-მეთქი, როგორ ვიტყვით და დავარწმუნოთ, რომ გვიანხამდე არ დაირღვევა-მეთქი.

«ასეა თუ ისე, დღეს მშვიდობიანობითა ვსტკბებით. იმედია, ხვალაც და ზეგაც არ დაირღვევა ეს სასურველი მშვიდობიანობა. იმისაც მადლობელნი ვიყვნეთ, რომ მონარქნი და მინისტრნი ყოველს ღონესა ხმარობენ დაიცვან მშვიდობიანობა, ისე რომ იმედი მაქვს, ბოლოს მაინც არ დაირღვევა მშვიდობიანობა. მხოლოდ ერთად-ერთი შემთხვევაა ამ ჟამად, რომ მშვიდობიანობა დაირღვეს, თუმცა ეს შემთხვევა ევროპის და იმის საზოგადო მდგომარეობას არაფრით არ შეეხება. მე ვამბობ იტალიას და აბისინიაზე. დღეს, სამწუხაროდ, ჩვენი მეგობარი იტალიელები და ჩვენივე მეგობარი აბისინიელები იძულებულნი არიან ომი დაიწყონ. ჩვენ დიდად ვეცადნეთ აგვეცილებინა ომი იტალიისა და აბისინიისათვის. ეს საქმე მივანდეთ ახალგაზრდა დიპლომატს, მისტერ პორტალს. იმანაც კარგად შეასრულა ეს ფრიად ძნელი მინდობილობა. მაგრამ თუ ომი მაინცა-და-მაინც არ აგვცდა, ეს პორტალის ბრალი-კი არ არის, არამედ აბისინიის მეფის ცრუდ მიმართულ მოთხოვნილებისა. ვისურვოთ, რომ იტალიას, რომელიც ჩვენი დიდი მეგობარია, რომელთანაც საერთო ინტერესები ბევრი გვაქვს, მარცხი არა მოსვლოდეს-რა. შემდეგ-კი, როცა, თავმოყვარეობა იტალიისა იქნება დაკმაყოფილებული, ვისურვოთ, რომ იტალიის მთავრობამ გამოიჩინოს ისეთი გულდინჯობა, რომელიც არას დროს არ ეწინააღმდეგება სახელისა და პატივის დაცვის სურვილსა».

შემდეგ სალისბერის ულაპარაკნია ინგლისის კაბინეტის თაობაზე, უქია ჰარტინგტონი, უთქვამს, რომ ერთი დიდი დასი არ არსებობს პარლამენტშიო და ეს კარგი არ არისო. უადგილობის გამო ეს ადგილი აღარ მოგვყავს.

## წვრილი ამბები

— 4 იანვარს დორში, ინგლისშია, დამწვარა ცნობილი კეტის წიგნთ-საცავი, რომელშიაც 20,000 წიგნი ინახებოდა თურმე.

— ისპანიის მთავრობას წინადადება მიუცია შეერთებულ შტატებისა და ისპანია-ამერიკის რესპუბლიკებისათვის, რომ ამერიკის 400 წლის აღმოჩენა ვიდღესასწაულოთო. ისპანიას განზრახვა აქვს, რომ ქრისტეფორე კოლუმბს ძეგლი აუგონ პალოსში, გუელვას ახლო, სწორედ იმ ადგილას, რა ადგილიდგანაც განთქმული მოგზაური ამერიკის ძებნას შეუდგა. ამ დღესასწაულზედ მიწვეულ უნდა იქმნენ ამერიკის და ევროპის ყველა გეოგრაფიული და სამეცნიერო საზოგადოებანი.

— რადგან სარდუს ზნედა სჭირს გადაჭარბება სასცენო ეფექტებისა, მაგალითებრ, იმის უკანასკნელ დრამა «Tosca»-ში, ამიტომ სარდუს მეგობრებს განუზრახავთ ჭეშმარიტს გზაზედ დააყენონ თავიანთი ნიჭიერი ამხანაგი. ამ აზრით მომავალ გამოფენაზედ უნდა გამოჰკიდონ სათხუნჯო სურათი: სარდუ ზის სამწერლო სტოლთან, ერთს გვერდზედ სარა ბერნარი ჰყავს და მეორეზე—პარიჟში ცნობილი იმპრესარიო. იქნება ამ საქციელმა ამხანაგებისამ მაინც მოარჯულოს სარდუ და გონებაზედ მოიყვანოსო.

---

მალე გძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭ ქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობრისათვისაც-კი ოსტატია. ეს ტყუილი თაკილი...

— ტყუილმა ბრძნობამ იცის, დაატანა კესომ და ჩამოართვა სიტყვა ღიმილით.

— და უვიცობის ცუდ-მედიდობამ!.. დაუმატა არჩილმა.

### XIII

ახალი ცოცხი კარგად ჰგვის!..

ამისი თქმა ძლივ გაათავა არჩილმა, რომ ოთახში ერთი ყვირილი და ხმაურობა შემოესმათ. არჩილი მაშინვე გარედ გავარდა და მუაჯრიდამ გადასძახა ჩალურიდამ გამოცვივნულ მოსამსახურეებს.

— ეს რა ყვირილ-ღრიალია?

— რა მოგახსენოთ? თავლიდამ მოდის, უპასუხა ვილაცამ.

— ერთი შემიტყეთ, რა ამბავია?

მინამ ერთ-ერთი ვინმე წავიდოდა, თავლიდამ გამოჰრბოდა კიდეც მეჯინიბე, ვილასაც მხარ-უკუღმა მუშტს უღერებდა, იმუქრებოდა, მოილანძღებოდა.

— ბატონო, ეს რა ღვთის წყრომაა? შემოსძახა ქვევიდამ მეჯინიბემ, მუაჯარზედ გადმომდგარს არჩილსა: ეს ვილაც ოხერ-ტიალი მოთრეულა, თავ-პირი აღარ შემარჩინა ცემითა.

— ვინ ოხერ-ტიალი?

— აი ეს ახალი მოჯამაგირე.

— გიორგი?

— ეშმაკმა იცის იმისი თავი და ტანი გიორგია თუ ვილაცა.

— მერე რა იყო?

— რაღა რა იყო?!. თქვენ რომ ვენახიდამ მობძანდით, თქვენს ცხენს მოვხადე და დავაბი. ისიც ხომ თქვენ ფეხ-და-ფეხ მოგყვათ. შემოვიდა თავლაში, ჩხუბი დამიწყო, გამლანძღა, გაველანძღე და მერე ამომიდო ქვეშ და ასე გამხადა, რომ ნეკნები ჩემი აღარ არის.

— აბა ერთი გიორგის დამიძახეთ უბძანა არჩილმა.

ერთი მოსამსახურე გაიქცა დასაძახებლად. ამ დროს კესოც გამოვიდა მუაჯარზედ, გვერდთ მოუდგა ძმას და ჰკითხა:

— რა ამბავია?

— რაღაც ჩხუბი მოჰსვლიათ.

— ვისა და ვის?

— გიორგისა და მეჯინიბეს.

— რაზედ?

— სწორედ არც მე ვიცი. აი გიორგი მოვა და შევიტყობთ.

მოვიდა გიორგიცა. იღლიაში ახალუხი ჩამოჰხეოდა და სცდილობდა დაემალა. გოგო-ბიჭებმა, ვინც-კი ამ დროს სახლში მოიხელებოდა, ყველამ მუაჯირთან ეზოში მოიყარა თავი.

— ჩხუბი მოგივიდა? ჰკითხა არჩილმა გიორგის.

— არა. ამასთან საჩხუბარი რა მქონდა?

— მაშ რას გიჩივის, მცემაო.

— ცემით-კი ვცემე.

— ეგ ხომ ჩხუბზე უარესია. რადა სცემე?

— შენი ცხენი ისე ოფლიანი დაება. თავლაში რომ შევედი, თითონ პირ-ალმა გაშოტილიყო ტახტზედ და ყალიონს ეწეოდა. მე ვუთხარი: — ცოდო არ არის, ოფლიანი ცხენი დაგიბამს. ცოტა ხანს მაინც ატარებდი, ზურგზედ წყალს მაინც გადაავლებდი-მეთქი. ხომ წახდა ცხენი: ან ზურგმა ჰავა აართვა, ან ფეხში დაიხუთა-მეთქი. არა-მკითხე მიამბეო, მიტყიპე და მიაგდეო, მითხრა არხეინად და ყალიონი ძალზედ გამოაბოლა. — ვერც მიმტყიპავ და ვერც მიმაგდებ-მეთქი. წავედი ცხენის ასაშვებლად, მე მინდოდა პატარა მეტარებინა და წყალი გადამევლო ოფლიან ზურგზედ.

— წადიო, ვილაც მოთრეულხარო, დამიძახა და დედა შემაგინა. ამაზედ გული მომივიდა და ვცემე. მამაჩემსაც არ შევარჩენდი დედაჩემის ავად ხსენებას.

— ეგრე-კი იყო? ჰკითხა კესომ გიორგის და გადმოჰხედა.

— ტყუილი რა საკადრისია!..

— ეგრე იყო, ეგრე! დაიძახა პატარა ბიჭმა მეხბორემ, რომელიც მაშინ თავლაში შესწრობოდა: სწორედ ეგრე იყო, მე იქ ვიყავი.

— კესო, ერთი დავთარში ჰნახე რა ერგება და გამოუტანე.

კესო გამოუკითხავადაც მიჰხვდა ვისზედ უთხრა ძმამ. შებრუნდა ოთახში, პატარა ხანს შემდეგ გამოვიდა და უთხრა:

— ოც-და-ხუთი მანეთი-ღა ერგება. აი ფულიც.

არჩილმა ჩამოართვა ფული, მუაჯარიდამ გადუგდო მეჯინიბეს და ჩასძახა:

— აი, ძმობილო, ეს-ღა გერგება. ალალი იყოს შენზედ და მე ჩემს სახლში-კი ველარ დაგაყენებ.

— მე მცემეს და მევე მიწყრებით?!

— ამას იქით ჭკუა იცოდე: შენ რომ ცუდ-ჰკაცობდე, კაი კაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ.

არჩილი და კესო შებრუნდნენ ოთახში. გოგო-ბიჭები წავიდ-წამოვიდნენ.

— მითამ ახალი ცოცხია და კარგად ჰგვისო! ამბობდნენ დაცინვით ზოგიერთნი ახალს მოჯამაგირეზედ.

— დაძველდები და შენც მოატან ქვიშასაო, იძახოდნენ მეორენი.

— ეგ სხვა დედის შვილია!.. მაგას ოთარაანთ ქვრივის შვილს ეძახიანო!.. ამბობდა ამათში მარტო ერთად-ერთი კაცი, ისიც ხმა-ამოუღებლივ, თავის გულში ამბობდა.

ეს იყო მეწისქვილე არჩილის კარის წისქვილისა, — კაცი ძველი, გულ-ჩახვეული, გულ-ჩაკეტილი, ჩუმი და ამიტომ ყველასაგან დაბრიყვებული. ვინ იცის, საიდამ სად იყო გადმოგდებული, და აქ წისქვილში როდის შემოჰხიზნული? აქ მეწისქვილედ დაბერებულიყო უცოლოდ, უშვილოდ, უთვის-ტომოდ. არავინ იცოდა, ვინ არის და საიდამ არის... ამისი ვარსკვლავი მარტო ამოსულიყო სადღაც და როდესღაც და ეხლა მარტოვე ჩადიოდა დინჯად და შვიდობიანად, ტკბილად და უწყინარად.

ილია ჭავჭავაძე

(შემდეგი იქნება)

— «Figaro»-ს ვენელი კორრესპონდენტი სწერს, რომ აქაურს წიგნის მაღაზიებში რუსული გრამატიკები აღარ იშოვება, ისე მალიან იყიდება. უმეტესად ამ წიგნებს ავსტრიის ჯარის ოფიცრები ყიდულობენ და რუსულს ენასა სწავლობენო.

— საკვირველი თავ-ხედობა ჩაუდენიათ გერმანიის მემკვიდრე პრინცის მიმართ სან-რემოში. ყველა საყვარელი ძაღლები პრინცისა ერთს დღეს მოწამლა თურმე ვიღამაც და დაიხოცნენ.

— «Standard»-ს აუწყებენ შანჰაიდგან, რომ ჩინეთის დაბა ფულიენში ფანატიკოსებმა 20-მდე ქრისტიანეთა ეკკლესია დაანგრიეს და ბევრნი დახოცეს იმ ურწმუნოთაგან, რომელნიც შემდეგ გაქრისტიანებულიყვნენო.

— ბოლონიის უნივერსიტეტს განუზრახავს თავის დაარსებიდგან 800 წლის იუბილეი იდღესასწაულოს და ამ დღესასწაულში მიუწვევია იტალიისა და საზღვარ-გარედის ყველა უნივერსიტეტები.

— გამომძიებელი ვინიო, რომელიც ვილსონის და ამხ. საქმის გამო იყო დანიშნული, დაუთხოვნიათ და ამას გარდა სამართალში მიუციათ თავის უფლებათა საზღვრის გარდასვლისათვის. ამბობენ, რომ ვინიო ძალიან სასტიკად ეპყრობოდა მაღალ-ხარისხოვან კაცთაო.

— პაპი მადლიერი უნდა იყოს თავის იუბილეით. 60 ათასი მლოცველი, — ამათში 35 ათასი იტალიელია, 5 ათასი ფრანგი, 4 ათასი გერმანელი და 2 ათასი ისპანელი, — 52 კარდინალი და 160 ეპისკოპოსი მისულა რომში. ყველა საჩუქრები პაპისადმი მირთმეული 60 მილიონად დაუფასებიათ; ნაღდ ფულად მიღებულია 14 მილიონი. საჩუქართა შორის არის აგრეთვე 20 ათასი ბოთლი ღვინო, რომლისათვისაც ცალკე სადგომი დაუქირავებიათ.

— ამ დღეებში ნაპოლეონ მე-III და იმის შვილის ძვლები გადაუსვენებიათ ჩაილსგერსტში და იქ ახალი ძეგლი დაუდგამთ, რომელიც ნადედოფლარმა ევგენიამ გააკეთებინა ფარნბოროში. ორივე გარდაცვალებულთა ძვლებს უკან ჯვარი მისდევდა. დედოფალ ვიქტორიამ ყვავილების გვირგვინები გაგზავნა თურმე. დასაფლავებას დიდ-ძალი ხალხი დასწრებია.

— მეფე სანდვიჩევის კუნძულებისა კალაკაუა დათანხმებულა, — ჩემი სამფლობელო ჩრდილოეთ-ამერიკას შეუერთდესო, ხოლო იმ პირობით, რომ მე თვითონ 20 ათასი დღიური მიწა მომცენ საკუთრებად კალიფორნიაში და ამას გარდა ყოველ წლივ პენსიად რამდენიმე ათასი მანათი მაძლიონო.

- ამერიკის პრეზიდენტის «თეთრს სახლში» იმდენი თაგვი გაჩენილა, რომ შიგ ადამიანს ცხოვრება არ შეუძლიან თურმე. ამერიკის გაზეთები ამბობენ, რომ საჩუქარი მიეცემა იმას, ვინც ამ თაგვების გაწყვეტის საშუალებას გამოიგონებსო.

— საშობაოდ დედოფალს მარგარიტას განკარგულება მოუხდენია, რომ სამხედრო სასწავლებლებში ისე ვიდღესასწაულოთ შობა, როგორც გერმანიაში აქვთ ჩვეულებადაო. დედოფლის სასახლიდგან ამ სასწავლებლებში იგზავნება დიდ-ძალი დაოქროვებული კაკალი, ვაშლი და თბილი ტანთ-საცმელი. პატარა პრინცესა ასტურიისა დიდს მონაწილეობას იღებს თურმე ამ განკარგულებებში და ზედა-ზედ გაიძახის სიამოვნებით: «ახ, როგორ გაიხარებენ საწყლების შვილებიო!» ზოგიერთ ყინკა-მაქრისა და სხვა ხილეულობის ყუთებზე დახატულია ალფონს მე-XIII სურათი.

— 1 იანვარს ამა წლისას ქ. კარტაგენის ერთს თეატრში წარმოდგენის დროს ვიღაცა კაცს ჩაუდვია პირში დინამიტის გული და ცეცხლი წაუკიდებია. მთელი ქალა ნაკუწ-ნაკუწად ექცა თურმე, ძვლები იქვე მჯდომარე ქალს მოხვდა სახეში და თითქმის დაამავა კიდეც. დინამიტის აფეთქებას ჭაერი შეუგუმშავს, გაზი გამქრალა და დაბნელებულა მთელს თეატრში. შეშინებული ხალხი მივარდნია კარებებს და რამდენიმე ადამიანი ფეხ-ქვეშ გაუტანია.

— საზოგადოდ მას შემდეგ, რაც ვენის რინგ-თეატრსა და პარიჟის კომიკურს თეატრში უბედურება მოხდა საზოგადოება სულ უბრალო რამეზე ფრთხება და შიშობს. ამას წინად იოზეფშტადტის თეატრში არდგენდნენ თურმე ოთხ მოქმედებიან პიესას «Peter Zapfl»-ს. თეატრი სავსე იყო ხალხით. უეცრივ ერთის ლოჟიდგან წივილი მოისმა, ამაზედ ხალხი წამოცვივდა და ეცა კარებებს. საზოგადოების შეშინებამ გაავრთხო მოთამაშენიც და ისინიც გამოცვივდნენ თურმე ქუჩაში სათეატრო ტანისამოსით. მთელი ეს ამბავი-კი თურმე იმის გამო მოხდა, რომ ერთმა ქალმა საშინლად დაიკივლა, რაკი თავისი ქმარი გულ-წასული ნახა.

— ალჟირის პროვინცია კონსტანტინში განთქმულს ლომებზე მონადირეს, ახმედ-ბენ-ამარს, ის სურვილი ახდენია, რომლისათვისაც იღვწოდა თურმე 26 წლის განმავლობაში: მიუღია ორდენი საპატიო ლეგიონისა. ეს ორდენი ბენ-ახმედზე უფრო უპრიანია, ვიდრე სხვებზე, რადგან ამ კაცს თავის სიცოცხლეში 200 ლომი მოუკლავს. რადგან თითო ლომი წელიწადში 5,000 მან. შინაურს საქონელს აფუჭებს, მაშასადამე ახმედას თავის სამშობლოსათვის 100,000 მანათის — დიდი სარგებლობა მოუტანია.

## დეპეშა

11 იანვარი

სტამბოლი. ოსმალეთის მთავრობა იმის ზრუნვაშია, რომ შეადგინოს პასუხი იმ ნოტასი, რომელიც რუსეთის ელჩმა ნელიდოვმა წარუდგინა. ეს ნოტა შეეხება იმ გარემოებას, რომ ოსმალეთი აგვიანებს იმ ფულის გადახდას, რომელიც ოსმალეთსა ჰმართებს რუსეთისა. ამბობენ, ამ ფულის გადახდის დაგვიანება იმისი ბრალია, რომ ზოგიერთ ვილაიეტებში შიმშილობა ჩამოვარდა და ამიტომ ეს ვილაიეტები განთავისუფლებულ იქმნა გარდასახადისაგანაო.

სტამბოლი. აქაურმა რწმუნებულმა ჩერნოგორიის საქმეებისამ, პლამენაცმა, მიჰმართა ოსმალეთს და სთხოვა დაუბრუნონ იმის მთავრობას ის ჩერნოგორელნი, რომელნიც გარეულან ბურღასის საქმეში და რომელნიც წესით ჩერნოგორიაში უნდა იქმნან განსამართლებულნი და დასჯილნი.

სოფია. პრინცი ფერდინანდ კობურგისა და დედა მისი კლემენტინა დღეს დილის 10 საათზედ წავიდნენ ფილიპოპოლს. თან ახლდნენ: მუტკუროვი, სტამბულოვი და ნაჩევიჩი.

ლონდონი. ინგლისელებმა არაფრით არ მოიგონეს ის დღე, როდესაც ასი წელიწადი შესრულდა მას აქედ, რაც დაიბადა ბაირონი; მხოლოდ ბერძნებმა გადაიხადეს პანაშვიდი ლონდონის რუსთა ეკკლესიაში.

პეტერბურგის ბირჟა 8 იანვარი.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გაყიდულია | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთმანათიანი ოქრო . | — | ,, | — | ,, | 9 | 24 |
| ტამოჟნის კუპონები . | — | ,, | — | ,, | 184¼ | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . . . . | — | ,, | — | ,, | 1 | 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — | ,, | — | ,, | 266¾ | |
| — მეორისა. . . . . | — | ,, | — | ,, | 250¾ | |
| გირავნობ. ფურცელნი | | | | | | |
| ტფილისის ბანკისა . | 98½ | | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | 98½ | | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

<>

## სავალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე 14,
ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია, დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე 4,
ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია, დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია — 25.

იანვარი 31 დღით არის.

13 დღე ოთხშაბათი. წმ. მოწ. ერმილესი და სტრატონიკისა. სომეხ. ალების ღამე არაჯივარაცის მარხვისა. ნახატონაქი. მუსულ. მე-11 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე-ამოდის 7-19, ჩადის 5—6. მთვარე 13 დღისაა.

14 დღე ხუთშაბათი. მოციქულთა სწორის საქართველოს განმანათლებელის ნანასი. კათოლ. წმ. გილიარისა და ეპისკ. ფელიქსესი. სომეხ. შობა იოანე წინა-მორბედისა. მუსულ. მე-12 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—19, ჩადის 5—7. მთვარე 14 დღისაა.

15 დღე პარასკევი. ღირსისა პავლესი და იოანე მღვიმელისა. კათოლ. წმ. ალმს. პავლესი და წმ. აბბა. მავრასი. სომეხ. მარხვა მუსულ. მე-13 რიცხვი თთვისა ჯემად-ულ-ეველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 12—13. ტფილისში მზე ამოდის 7—18, ჩადის 5—8. მთვარე 15 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 იანვრიდამ 1 თებერვლამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა . . 3 »
2 » 2½ »
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 »
» » 2 — 3½ »
» » 3 » 3
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 »
მე-2 ხარისხისა . . 4 »
მე-3 — . . . » »
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 »
» 2 » 7 »
სუკი . . . . 14 »
მროხის ხორცი . . . . 8 »
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. 7 »
» 2 » 6 »

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მიდის საათ. | მიდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მიდის საათ. | მიდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი. | — | — | 8 | 49 | ბათუმი.... | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა.... | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა.... | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები.... | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი ..... | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა ...... | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი...... | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი... | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი ... | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი... | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი..... | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო ... | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი ... | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი ...... | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური.... | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი...... | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი...... | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი .... | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი....... | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა... | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა .... | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი ... | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი.. | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი... | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა..... | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა... | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი ....... | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი .... | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი...... | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი .... | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური..... | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი. | 7 | 08 | 7 | 10 | გომი ........ | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი..... | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო... | 8 | 5 | 8 | 7 | გორი ...... | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი ... | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი.... | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი .. | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი ....... | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა....... | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი ... ... | 9 | 7 | 9 | 39 |
| ნატანები... | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა ...... | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა...... | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი .... | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

## ტფილისსა და სურამ შუა

| | დილით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი. | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი. . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი. . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპია . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი. . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთ . . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა. . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ. — კ. | 6 თთვით . . . . . | 6 მ. — კ. |
| 11 „ . . . . | 9 „ 50» | 5 „ . . . . . | 5 „ 25» |
| 10 „ . . . . | 8 „ 75» | 4 „ . . . . . | 4 „ 75» |
| 9 „ . . . . | 8 „ —» | 3 „ . . . . . | 3 „ 50» |
| 8 „ . . . . | 7 „ 25» | 2 „ . . . . . | 2 „ 75» |
| 7 „ . . . . | 6 „ 50» | 1 „ . . . . . | 1 „ 50» |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება — 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარეთ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты «ИВЕРІЯ».*

თუ ტფილისში დაკვეთილ გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე — 40 კაპ.

თუ თთვის განმავლაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში,

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე — 16 კაპ.
ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი — 60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

Доз. цен. Тиф. 12 января, 1888 г. Типографія А. А. Михельсона, на Гол. Проспектъ въ д. Читахова. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე